

შპს „ქართული მილი“

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

Contents

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	11
ფულის მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	14
1. ზოგადი ინფორმაცია	14
2. საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავსირებული საკითხები	15
3. მნიშვნელოვანი საარრიცხოვო პოლიტიკის მიმოხილვა:.....	18
4. მნიშვნელოვანი საარრიცხოვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	25
5.2 განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის მდგომარეობის ანგარიშგებაზე	26
5.1 ფული და ფულადი სახსრები.....	26
5.2 სავაჭროდასახვამოთხოვნები.....	27
5.3 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები - მარაგები	27
5.4 საინვესტიციო ქონება	28
5.5 ძირითადი საშუალებები.....	28
5.5 არამატერიალური აქტივი	Error! Bookmark not defined.
5.6 სავაჭრო ვალდებულებები	30
5.7 გადასახდელი ხელფასი	30
5.8 მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	30
5.9 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	30
5.10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31
5.11 კომპანიის დანახარჯების კლასიფიკაცია.....	32
5.12 საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა).....	32
5.13 არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/ზარალი.....	32
5.14 ფინანსური ხარჯი	33
5.15 ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში	33
5.16 დასკვნითი ინაწილი.....	33
მართველობითი ანგარიში	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს-ს „ქართული მილი“ -დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოდიფიცირებული (პირობითი) მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ქართული მილი“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა ქვეთავში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხებისა, შპს-ის „ქართული მილი“ ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ შევისწავლეთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია და ვასკვნით, რომ წარმოდგენილი საკითხები არსებითია მაგრამ არა ყოვლისმომცველი.

კერძოდ:

- 1) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი უფიქსირდება -**საწყისი ნაშთი 3 069 268 ლარის, საბოლოო ნაშთი - 3 374 351 ლარი**. ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ ვიყავით 2022 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის, შესაბამისად ვერ დავაკვირდით სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას. ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ ვადასტურებთ საქონლის ნაშთის ფაქტობრივი ოდენობის შესაბამისობას ანგარიშგებაში გაჟღერებულ საქონლის ნაშთის ოდენობასთან. გამომდინარე აქედან ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხულ მარაგებთან დაკავშირებით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიამ მიიღო წმინდა ფინანსური მოგება, მას უფიქსირდება დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და მომავალში საოპერაციო საქმიანობის გაგრძელების, აღებული მოვალეობების შესრულებისა და საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა დამოკიდებულია კომპანიის შესაძლებლობაზე განახორციელოს მომგებიანი ოპერაციები ან/და მოიზიდოს დამატებითი ფინანსები. დამატებით, როგორც ეს გაშიფრულია 2.3 შენიშვნაში, კომპანიის საქმიანობაზე გავლენა ვერ მოახდინა ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიურმა აფეთქებამ, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში გამოაცხადა გლობალურ პანდემიად.

მოცემული ფაქტები მიუთითებს რომ კომპანიას უნარი შესწევს, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს რაიმე განუსაზღვრელობით.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი

აუცილებლად მიიჩნევა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს,

ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

**მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ”
საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან**

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტი“ სახელით

სარეგისტრაციონომერი: SARAS-F-796870

ზაზა მჭედლიშვილი

SARAS-A-863342

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2023 წელი

მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტი“ სახელით

სარეგისტრაციონომერი: SARAS-F-796870

ზაზა მჭედლიშვილი

SARAS-A-863342



თბილისი, საქართველო
29 სექტემბერი 2023 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3.5.1.	365 126	212 576
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3.5.2.	5 737 982	4 646 054
ანარიცხები (საექვო მოთხოვნების რეზერვი)	3.5.2.3	-	-337 744
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	3.5.3.	1 740 328	800 495
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	3.5.4.	3 374 351	3 069 268
საგადასახადო აქტივი	3.5.7.	-	0
სხვა მიმდინარე აქტივი	3.5.8.	38 908	413 309
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>11 256 695</u>	<u>8 803 958</u>
გრძელვადიანი აქტივები		-	
მიწა	3.5.10.	1 034 825	390 000
დაუმთავრებელი მშენებლობ	3.5.10.1.	1 004 535	770 657
შენობები	3.5.10.2.	1 082 783	1 083 769
მანქანა-დანადგარები	3.5.10.4.	5 724 191	5 104 048
სხვადასხვა	3.5.10.5.	91 988	97 684
ლაბორატორია	3.5.10.6.	246 988	272 727
სპეც ნაწილები	3.5.10.7.	9 018	10 100
ოფისის აღჭურვილობა	3.5.10.8.	25 498	22 439
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3.5.10.9.	89 728	90 629
სატრანსპორტო საშუალებები	3.5.10.11.	104 029	114 768
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3.5.10.12.	203 056	109 499
სხვა სპეც. ინსტრუმენტები	3.5.10.13.	18 173	15 825
სხვა არასტანდარტული ძირითადი საშუალებები	3.5.10.14.	12 458	9 600
ლიზინგი	3.5.10.15.	1 404 813	1 511 155
არამატერიალური აქტივები	3.5.12.	7 881	21 255
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>11 059 963</u>	<u>9 624 155</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>22 316 659</u>	<u>18 428 113</u>
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		-	
მოკლევადიანი ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	3.5.16.	2 156 834	2 584 798
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	3.5.17.	33 066	42 344
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3.5.20.	840	-
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>2 190 740</u>	<u>2 627 142</u>
გრძელვადიანი ვალდებულება			
სხვა ვალდებულებები		3 796 672	507 955

სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		1 752 830	5 073 221
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>5 549 502</u>	<u>5 581 176</u>
<u>სულ ვალდებულებები</u>		<u>7 740 242</u>	<u>8 208 318</u>
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	3.5.21.	14 576 417	10 219 795
<u>სულ კაპიტალი</u>		<u>14 576 417</u>	<u>10 219 795</u>
<u>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</u>		<u>22316658</u>	<u>18 428 113</u>

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 25 სექტემბერი:

დირექტორი

/ბექა ჭაბუკიანი/

მთავარი ბუღალტერი

/მარიამ აფრიაშვილი /

სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		1 752 830	5 073 221
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>5 549 502</u>	<u>5 581 176</u>
<u>სულ ვალდებულებები</u>		<u>7 740 242</u>	<u>8 208 318</u>
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	3.5.21.	14 576 417	10 219 795
<u>სულ კაპიტალი</u>		<u>14 576 417</u>	<u>10 219 795</u>
<u>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</u>		<u>22316658</u>	<u>18 428 113</u>

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 25 სექტემბერი:

დირექტორი



/ზექა ჭაბუკიანი/

მთავარი ბუღალტერი

/მარიამ აფრამაშვილი /

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები	4.5.1.	38 321 488	23 101 335
არასაოპერაციო შემოსავლები	4.5.4.	107 022	
სულ შემოსავალი		38 428 510	23 101 335
გამოყენებული ნედლეული და მასალები	4.5.5.	- 28 383 824	-18 613 523
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები	4.5.6.	- 1 136 628	-1 086 038
იჯარის ხარჯი	4.5.7.	- 967 725	-231 667
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	4.5.8.	-2 550	-34 190
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	4.5.9.	- 9 579	-613 742
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	4.5.11.	- 916 967	-514 707
ფინანსური დანახარჯები	4.5.12.	- 234 849	-423 614
არასაოპერაციო ხარჯები	4.5.13.	697 922	-36 382
სავალუტო კურის ცვლილება	4.5.10.	-	517 448
მიმდინარე პერიოდის ზარალი		6 724 310	2 064 920
მოგების გადასახადი	4.5.14.	- 208 393	-86 620
მიმდინარე პერიოდის ზარალი		6 515 917	1 978 300
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		10 219 795	9 265 411
დივიდენდები		- 2 159 295	-1 023 916
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		14 576 417	10 219 795

წარმოდგენილი სრული შემოსულობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 25 სექტემბერი:

დირექტორი

/ბექა ჭაბუკიანი/

მთავარი ბუღალტერი

/მარიამ აფრიაშვილი /

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები	4.5.1.	38 321 488	23 101 335
არასაოპერაციო შემოსავლები	4.5.4.	107 022	
სულ შემოსავალი		38 428 510	23 101 335
გამოყენებული ნედლეული და მასალები	4.5.5.	- 28 383 824	-18 613 523
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები	4.5.6.	- 1 136 628	-1 086 038
იჯარის ხარჯი	4.5.7.	- 967 725	-231 667
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	4.5.8.	-2 550	-34 190
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	4.5.9.	- 9 579	-613 742
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	4.5.11.	- 916 967	-514 707
ფინანსური დანახარჯები	4.5.12.	- 234 849	-423 614
არასაოპერაციო ხარჯები	4.5.13.	697 922	-36 382
სავალუტო კურის ცვლილება	4.5.10.	-	517 448
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		6 724 310	2 064 920
მოგების გადასახადი	4.5.14.	- 208 393	-86 620
მიმდინარე პერიოდის მოგება/zarali		6 515 917	1 978 300
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		10 219 795	9 265 411
დივიდენდები		- 2 159 295	-1 023 916
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		14 576 417	10 219 795

წარმოდგენილი სრული შემოსულობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 25 სექტემბერი:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/ბექა ჭაბუკიანი/

/მარიამ აფრიაშვილი /

შპს „ქართული მილი“ (საიდენტიფიკაციო N406136097)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის		4 991 604		4 991 604
მოგება / (ზარალი)		-		
დივიდენდის გამოცხადება				
ნაშთი 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის		4 991 604		4 991 604
მოგება / (ზარალი)		2 030 566		2 030 566
დივიდენდის გამოცხადება				
ნაშთი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	-	7 022 170		7 022 170
მოგება / (ზარალი)		2 859 346		2 859 346
დივიდენდის გამოცხადება		- 616 105		- 616 105
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	-	9 265 411		9 265 411
მოგება / (ზარალი)		1 978 300		1 978 300
დივიდენდის გამოცხადება		-1 023 916		- 1 023 916
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	-	10 219 795		10 219 795
მოგება / (ზარალი)		6 515 917		6 515 917
დივიდენდის გამოცხადება		-2 159 295		-2 159 295
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	-	14 576 417		14 576 417

წარმოდგენილი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი

/ზექა ჭაბუკიანი/

მთავარი ბუღალტერი

/მარიამ აფრიაშვილი /

შპს „ქართული მილი“ (საიდენტიფიკაციო N406136097)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის		4 991 604		4 991 604
მოგება / (ზარალი)		-		
დივიდენდის გამოცხადება				
ნაშთი 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის		4 991 604		4 991 604
მოგება / (ზარალი)		2 030 566		2 030 566
დივიდენდის გამოცხადება				
ნაშთი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	-	7 022 170		7 022 170
მოგება / (ზარალი)		2 859 346		2 859 346
დივიდენდის გამოცხადება		- 616 105		- 616 105
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	-	9 265 411		9 265 411
მოგება / (ზარალი)		1 978 300		1 978 300
დივიდენდის გამოცხადება		-1 023 916		- 1 023 916
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	-	10 219 795		10 219 795
მოგება / (ზარალი)		6 515 917		6 515 917
დივიდენდის გამოცხადება		-2 159 295		-2 159 295
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	-	14 576 417		14 576 417

წარმოდგენილი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/ზექა ჭაბუკიანი/

/მარიამ აფრამაშვილი /

ფულის მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საოპერაციო საქმიანობა	2022 წელი	2021 წელი
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	31 488 124	23 313 266
შემოსავალი საქონლის ექსპორტიდან	3 544 852	594 418
აღივების მიერ ამოღებული თანხები შემოსავლი	157 460	717 122
მიღებული ავანსები	9 537 153	2 239 322
შრომის ანაზღაურება ჩეცდმით ჩარიცული თანხის უკან დაბრუნება	490	128
ავანსად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება	758 491	188 356
ბიუჯეტიდან თანხის უკან დაბრუნება	39 293	212 910
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	45 525 862	27 265 522
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(27 939 386)	(19 006 482)
ხელფასები დამატება თვითღირებულებაში	(626 029)	(523 517)
ელ ენერგია დამატებული არის თვითღირებულებაში	(966 104)	(694 864)
გადახდილი ავანსები საქონლის შესაძენად	(1 889 714)	(3 214 875)
შრომის ანაზღაურება	(931 566)	(800 272)
მივლინება/წარმომადგენლობა	(8 156)	(246)
მომსახურება მხოლოდ ტრანსპორტირება	(156 984)	(70 073)
მომსახურება მხოლოდ ტრანსპორტირება არაეზიდენტზე	-	(13 426)
საოპერაციო იჯარა	(846 916)	(107 484)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	(50 840)	(35 549)
სხვადასხვა ხარჯები	(115 903)	(148 932)
სხვადასხვა სახის ნაყიდი საქონელი	(68 805)	-
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები ერთიან სახაზინო კოდეზე	(4 959 391)	(2 009 338)
საკონსულტაციო ხარჯები	(21 240)	(32 621)
საპენსიო სააგენტო გადახდილი თანხები	(59 818)	(50 076)
საწვავი	(151 444)	(77 842)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(6 892)	-
რეკლამა	(12 613)	(1 667)
თანხის შეტანა გამოტანაანგარიშებს შორის მოძრაობა	4 962	0
შეცდომით გადახდილი თანხები	7 189	51 415
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6 726 212	529 672
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
შვილობილი საწარმოს კაპიტალის შემცირება	-	-
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-	-
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(2 148 994)	(232 977)
ძირ. საშუალების მშენებლობაზე გადახდილი თანხები	(44 001)	(75 528)
აქტივების შესაძენად გადახდილი თანხების უკან დაბრუნება	1 441	3 900
ლიზინგით შეძენილი საქონელი	-	(109 904)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(2 191 554)	(414 509)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	6 949 452	5 593 087
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	6 949 452	5 593 087
დივიდენდების გადახდა	(1 610 330)	(999 670)
სესხის ძირ გადახდა	(9 330 085)	(4 405 577)
სესხის პროცენტის გადახდა	(230 906)	(349 275)
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	(63 335)	(32 783)
საგარანტიო ანარიცხები	(2 306)	71 817
დაზღვევა	(21 068)	(16 776)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(4 308 578)	(139 177)

ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	226 080	(24 013)
სავალუტო კურსის ეფექტი	(73 530)	(21 286)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	212 576	257 876
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	365 126	212 576

წარმოდგენილი ფულის მოძრაობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 25 სექტემბერი:

დირექტორი

/ბექა ჭაბუკიანი/

მთავარი ბუღალტერი

/მარიამ აფრიაშვილი /

ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	226 080	(24 013)
სავალუტო კურსის ეფექტი	(73 530)	(21 286)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	212 576	257 876
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	365 126	212 576

წარმოდგენილი ფულის მოძრაობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 25 სექტემბერი:

დირექტორი



/ზექა ჭაბუკიანი/

მთავარი ბუღალტერი

/მარიამ ავრამაშვილი /

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „ქართული მილი“ (შემდგომში „კომპანია“) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანია საქართველოში დაფუძნდა 2014 წლის 29 დეკემბერს, საქართველოში უმაღლესი ხარისხის პოლიეთილენის მილების წარმოებისა და რეალიზაციის მიზნით.

კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად საიდენტიფიკაციო ნომრით: **406136097** კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, ქიზიყის ქ. №12

კომპანია ეწევა სხვადასხვა მომწოდებლების პროდუქციის ფართო სპექტრის იმპორტს წარმოებასა და რეალიზაციას.

კომპანიის დაფუძნების დროს 100 % წილის მფლობელი ფიზიკური პირები არიან

- ✓ რუშიტბარიშ,თურქეთი 25493076332, U03564092,-50%
- ✓ გივიდუმბაძე -61001002733, - 50%

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დამფუძნებლები და 100% წილის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

- ✓ რუშიტ ბარიშ, 25493076332, U03564092 თურქეთი - 25 %
- ✓ გივი დუმბაძე, 61001002733 - 50%
- ✓ მიხეილ პეტროვი 01022000700 - 25 %

2020 წლის მდგომარეობით შპს „ქართული მილი“ საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელები არიან:

- ✓ რუშიტ ბარიშ, 25493076332, U03564092 /თურქეთი/ -25%
- ✓ გივი დუმბაძე, 61001002733 - 26%
- ✓ შ. პ.ს „ჯეოფაივ ჩემიკალ“ 404525643 - 49%

საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების ფართო სპექტრის შესაბამისად საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- ✓ პოლიეთილენის მილებით, დეტალებითა და სხვა ნაწარმით ვაჭრობა
- ✓ სანტექნიკური მოწყობილობებით და აქსესუარებით ვაჭრობა (საბითუმო)
- ✓ სანტექნიკური მოწყობილობების და აქსესუარების წარმოება
- ✓ პოლიეთილენის მილების, გოფირებული, პოლიეთილენის სარწყავი, სასმელი, გაზის, მილების ნაწარმოება რეალიზაცია.

კომპანიის დამკვეთთა სეგმენტი მოიცავს როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორს. შპს „ქართული მილი“ ოპერირებს საქართველოს ბაზარზე და ის იკვეთება როგორც ერთ-ერთი ლიდერი კომპანია წარმოდგენილ სფეროში

2. საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავსირებული საკითხები

- 4.1 კომპანიის პროდუქცია იყიდება საქართველოს მთელ მაშტაბზე. ჩვენს საქმიანობის სფეროში ბაზარზე დიდი კონკურენციაა, თუმცა, პროდუქციის მაღალი ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე დღესაც ლიდერის პოზიციას ვინარჩუნებთ. დაგეგმილი და განხორციელებული სხვადასხვა პროექტების ხარჯზე საწარმო ერთ-ერთი საუკეთესოა ამიერკავკასიაში.
- 4.1 კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ახორციელებს ორგანიზაციულ, ტექნიკურ და მარკეტინგულ ღონისძიებებს, შედეგად პროდუქციის/მომსახურეობის რეალიზაციის მოცულობა 80,86 %-ით გაიზარდა 2019 წელს 2018 წელთან შედარებით.

დასახელება	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა	34 468 408	22562153	21141222	22253436
0% დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა	3 802 927	608006	1201521	790569
დღგ-თი დასაბეგრი შემოსავალი მომსახურეობა	161 869	59887	10884	7120
დღგ-თი გათავისუფლებული შემოსავალი მომსახურეობა	-	-	-	24058
საქონლის უკან დაბრუნება	- 111 716	-128710	-150609	-331847
	<u>38 321 488</u>	<u>23101335</u>	<u>22203018</u>	<u>22743335</u>

2020 წელს 2019 წელთან შედარებით 2,38 %-ით შემცირდა, აღსანიშნავია ის გარემოება რომ 2020 წელი იყო მსოფლიო გლობალურად კრიზისული პერიოდი, მიუხედავად ამისა კომპანიის სწორი მარკეტინგული ღონისძიებებით შეინარჩუნა პოზიციები. 2021 წელს 2020 წელთან

შედარებით 4,04 %-ით მოხდა ზრდა. პანდემიის დასრულების შემდეგ კომპანიამ ნახტომისებური ზრდა განახორციელა, კერძოდ 2022 წელს 2021წელთან შედარებით შემოსავლის ზრდა მოხდა 65,88%-ით.

კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 2018 წელს 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 33,1 % , 2019 წელს 2018 წელთან შედარებით 28,9 %. ხოლო 2019 წელს კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 52,43 %-ით. ხოლო 2020 წელს კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 2018 წელთან შედარებით გაიზარდა 85,62 %-ით 2021 წელს წინა წელთან შედარებით კომპანიის გაუნაწილებელი მოგება გაიზარდა 10,3 %-ით. ხოლო 2022 წელს ნახტომისებური ზრდა განხორციელდა და 42,63%-ი შეადგინა.

დასახელება	2022 წელი	%	2021 წელი	%	2020 წელი	%	2019 წელი	%	2018 წელი
გაუნაწილებელი მოგება	14576417	42.63	10 219 795	10.30	9 265 411	31.94	7022170	40.67	4991604

მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება და საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება.

კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, საწარმო ფინანსურად სტაბილურია და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

შინაარსი

გაუნაწილებელი
მოგება / ზარალი

ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის
მოგება / (ზარალი)

4 991 604

-

დივიდენდის გამოცხადება

-

ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის
მოგება / (ზარალი)

4 991 604

2 030 566

დივიდენდის გამოცხადება

-

ნაშთი 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის
მოგება / (ზარალი)

7 022 170

2 859 346

დივიდენდის გამოცხადება

- 616 105

ნაშთი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის
მოგება / (ზარალი)

9 265 411

1 978 300

დივიდენდის გამოცხადება

-1 023 916

ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის
მოგება / (ზარალი)

10 219 795

6 515 917

დივიდენდის გამოცხადება

- 2 159 295

ნაშთი 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის

14 576 417

4.1 გარდა ზემოაღნიშნულისა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე.

- 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა.
- 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება.
- 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები.
- ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია.

დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარებისა და გავლენის ცვალებადობასთან დაკავშირებით იქნება მეტი სიცხადე. დაუყოვნებლივ ქმედებად, კომპანიამ დაამტკიცა COVID-19-თან სამოქმედო გეგმა და ამ ეტაპისთვის უზრუნველყო ნედლეულის მიწოდება, წარმოების პროცესის გაგრძელება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მკაცრი პროცედურების დაცვით და განაგრძო საქონლის იმპორტი/ექსპორტი საზღვარგარეთ არსებული მომხმარებლებისთვის.

3. მნიშვნელოვანი საარრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა: ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი; ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი საგადასახადო ავანსი და გადასახდელი გადასახადები

გადახდილი საგადასახადო ავანსი აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული ამოუღებელი თანხის ანარიცხით. გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ნომინალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს იმ გაუმჯობესებებსა და ჩანაცვლებებზე გაწეულ დანახარჯებს, რომლებიც ზრდიან აქტივების მომსახურების ვადას ან მათ მიერ ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობას.

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის, შეფასებული ღირებულების დადგენის თარიღიდან, მათი სასარგებლო ექსპლუატაციის ვადის პროპორციულად.

არამატერიალური აქტივები

ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს).

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად შეიცვალა ინვესტიციის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები.

ყველა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამომშვების ან პარტნიორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები; ან
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორიცაა მაგალითად დეფოლტი ან პროცენტის/მრითადი თანხის გადაუხდელობა;
- ან მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის რეჟიმში გადავა; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ამ ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს. თუ კომპანია საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, მაშინ კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ წილს და დაკავშირებულ ვალდებულებას თანხებზე, რომლის გადახდაც შეიძლება მოუწიოს. თუ კომპანია გადაცემული ფინანსური აქტივის

საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ინარჩუნებს, კომპანია აგრძელებს ამ ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული შემოსავლისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია ფინანსურ ვალდებულებებად ან საკუთარ კაპიტალად, სახელშეკრულებო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არის საწარმოს აქტივებში, ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ, ნარჩენი წილის მტკიცებულება. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული თანხის ოდენობით, შემცირებული გამოშვების პირდაპირი დანახარჯებით.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების უკუშესყიდვა აღიარდება უშუალოდ კაპიტალში და კაპიტალიდან გამოიქვითება. კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შესყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმებისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი არაღიარდება მოგება-ზარალში.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

გადავადებული საგადასახადო აქტივები:

მსს ფასს-ის 29-ე განყოფილების თანახმად საგადასახადო მოგებასა და ფინანსურ მოგებას შორის დროებითი სხვაობების შედეგად გადასახდელი და გაანგარიშებული გადასახადებს შორის სხვაობა აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ ჯგუფი მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა ჯგუფის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფს განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა. 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება ჯგუფში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ ჯგუფში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან

მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა სარგებელი ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

ფუტუტური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2022, 2021, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

აშშ დოლარი

გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის - 2,7020

;

გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის - 3.0976

გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის - 3.2766

გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის - 2,8677

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა:და
- პირობითი ვალდებულებები -რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას: ან
- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

1. კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.
2. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.
3. საწარმოს წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და `ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ` საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.
4. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.
5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის _ ფინანსური ინფორმაცია.
6. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;
7. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:
 - ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
 - საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
 - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
 - კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
 - განმარტებით შენიშვნებს.

5.2 განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის მდგომარეობის ანგარიშგებაზე

5.1 ფული და ფულადი სახსრები

5.1.1 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით

დასახელება	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
ნაღდი ფული საღაროში	2 257	174683	200071	55031
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	22 726	37893	21283	53043
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	340 143	0	36521	57471
ჯამი	<u>365126</u>	<u>212576</u>	<u>257875</u>	<u>165545</u>

5.1.2 უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით;

5.1.3 შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

5.1.4 ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები პროდუქციისა და მარაგების რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან;

5.1.5 საოპერაციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებში გათვალისწინებული არ არის ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან და დანახარჯები ძირითადი აქტივების შეძენასა და მონტაჟზე;

5.1.6 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები;

5.1.7 ძირითად აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები და დანახარჯები მათ შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიკუთვნებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;

5.1.8 საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიღებული დივიდენდები კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები - როგორც ფინანსური ოპერაციები. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დივიდენდები არ მიუღია;

5.1.9 ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, გაცემული დივიდენდები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

5.2 სავაჭროდასხვამოთხოვნები

5.2.1 საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საწარმოს საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

ფინანსური მოთხოვნები	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	5737982.06	4 308 310	5 613 020	6 025 241
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების ანარიცხები			-337 744	-337 744
სულ ფინანსური მოთხოვნები	5 737 982	4 308 310	5 275 275	5 687 497
არაფინანსური მოთხოვნები				
: ავანსების	1740328.18	800 495	-1 276 871	-761 513
სულ არაფინანსური მოთხოვნები	1 740 328	800 495	-1 276 871	-761 513
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7 478 310	5108805	3 998 404	4 925 984

5.3 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები - მარაგები

5.11.1 დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.

5.11.1 მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მოდელით;

5.11.1 ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით/ბარათით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. თალონები/ბარათები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

5.11.1 საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია

5.11.1 მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მოდელით;

5.11.1 შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

საქონელი	818 142	759 282	685897	305586
ნედლეული და მასალები	1 039 790	1 285 100	861317	588755
მზა პროდუქცია	1 198 324	976 718	522478	230777
საწვავი	533	929	629	205
სათადარიგო ნაწილები	93 495	26 140	13265	19662
სხვა მარაგები	224 066	21 099	4663	1528
ჯამი	<u>3374350</u>	<u>3069268</u>	<u>2088249</u>	<u>1146512</u>

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება შეადგენს 3,069,268 ლარის ხოლო წლის ბოლოს 3,374,350 ლარის.

5.4 საინვესტიციო ქონება

საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის კომპანიას საინვესტიციო ქონება არ გააჩნია, შესაბამისად გაუფასურების ნიშნები არ არსებობდა:

5.5 არამატერიალური აქტივი

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ბალანსზე აღრიცხული აქვს არამატერიალური აქტივი, ბუღალტრული პროგრამა „ორის მენეჯერი“ და ხარისხის სერტიფიკატები:

დასახელება	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
არამატერიალური აქტივები	54771	53 555	53 555	32,834
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-46890	-32299	-18 520	-7 505
ჯამი	<u>7 881</u>	<u>21 256</u>	<u>35 035</u>	<u>25,329</u>

5.5 ძირითადი საშუალებები

საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა და ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ღირებულება მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად შეტანილია პირვანდელი ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავიაცი და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობები	სხვადასხვა სპეც ინსტრუმენტები	2190 ჯული	ლიზინგით აღებული ქონება	არამაერიალური აქტივები	სულ
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	390000	1227460	888609	87733	33937	0	33001	209291	2126625	47216	5043872
შეძენა	0	1197863	1766895	0	23644	320148	384150	50918	0	0	3743619
შიდა მოძრაობა ჩამოერა	0	-1197863		0	-1884	0	0	-1519	0	-14381	-1215647
რეალიზაცია			-6864								-6864
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	390000	1227460	2648639	87733	55697	320148	417151	258690	2126625	32834	7564980
შეძენა	0	0	731824	0	8683	140003	13761	7310	22516	33178	957275
შიდა მოძრაობა ჩამოერა	0	0	0	0	-161	0	0	0	0	-12458	-12619
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	390000	1227460	3380464	87733	64219	460151	430913	266000	2149142	53555	8509636
შეძენა			2830283	78126	93428	324735	107917	37968			3472456
რეალიზაცია			-270595								-270595
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	390000	1227460	5940152	165859	157647	784886	538829	303968	2149142	53555	11711497
შეძენა	743 075		1050847	14345	14345	240993	7808	104098		1216	2176728
შიდა მოძრაობა ჩამოერა	-98250	0	0	0	-722	0	-119	-3	0	0	-99093
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1034825	1227460	6991000	180204	171271	1025879	546519	408062	2149142	54771	13789132
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	0	-50891	-69139	-12693	-14323	0	-7008	-72546	-318994	-4785	-550379
ცვეთის ხარჯი	0	-40915	-152952	-11753	-7922		-15236	-34697	-106331	-2720	-372527
დაგროვილი ცვეთა	0	-91806	-222091	-24446	-22245	0	-22244	-107243	-425325	-7505	-922906
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	0	-91806	-222091	-24446	-22245	0	-22244	-107243	-425325	-7505	-922906
ცვეთის ხარჯი	0	-40915	-279669	-11753	6729	-7114	-76121	-42079	-106331	-11015	-568268
დაგროვილი ცვეთა	0	-132721.4	-501760.2	-36199.3	-15515.74	-7114	-98365	-149322.2	-531656.4	-18520	-1491174
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	0	-132721	-501760	-36199	-15516	-7114	-98365	-149322	-531656	-18520	-1491174
ცვეთის ხარჯი		-10969	-334345	-14892	-7111	-7114	-38115	-19721	-106331	-13779	-552377
დაგროვილი ცვეთა	0	-143690.2	-836104.7	-51091.62	-22626.83	-14228.41	-136479.6	-169043.2	-637987.6	-32299	-2043551
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	0	-143690	-836105	-51092	-22627	-14228	-136480	-169043	-637988	-32299	-2043551
ცვეთის ხარჯი		-987	-430704	-10739	-7408	-7114	-62045	-5332	-106341	-13779	-644451
დაგროვილი ცვეთა	0	-144677	-1266809	-61830.71	-30034.92	-21342.82	-198525.1	-174375.5	-744329.1	-46078	-2688002
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	0	-144677	-1266809	-61831	-30035	-21343	-198525	-174376	-744329	-46078	-2688002

5.6 სავაჭრო ვალდებულებები

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა

დასახელება	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
ვალდებულებები მოწოდებიდან	2156834.15	2 584 798	2 679 478	2757002
	2 156 834	2 584 798	2 679 478	2 757 002

5.7 გადასახდელი ხელფასი

საწარმო, მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით აღრიცხავს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს. მოცემული სტანდარტის გათვალისწინებით, საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის გადასახდელი ხელფასი მოცულობა შეადგენს 0,00 ლარის ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის გადასახდელი ხელფასი შეადგენს 840 ლარს.

5.8 მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

საწარმოს საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის არ გააჩნია მიმდინარე ფინანსური ვალდებულება.

5.9 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

1. საწარმოს საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის გააჩნდა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება, ბანკის კრედიტის სახით,

დასახელება	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
ბიზნეს სესხი - ლარი	-	292 179	622 951	932 059
ბიზნეს სესხი - აშშ დოლარი	-	-	-	1 621 935
ბიზნეს სესხი - აშშ დოლარი საკრედიტო ხაზი	1 003 636	3 094 718	1 257 875	1 433 850
ბიზნეს სესხი - ეურო	731 744	1 286 324	2 006 815	-
საბანკო გარანტია	17 450	400 000	-	-
	1 752 830	5 073 221	3 887 641	3 987 844

საქმიანობის შედეგის ანგარიში

- შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები/ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთიანგარიშგების წარდგენის მეთოდით(მოდელით);
- კომპანია ძირითადი საოპერაციო საქმიანობის მიზნებისთვის ახდენს უმაღლესი ხარისხის მცირე დიამეტრის პოლიეთილენის მილებისა და ფირის წარმოებისა და რეალიზაციას

დასახელება	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა	34 468 408	22562153	21141222	22253436
0% დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა	3 802 927	608006	1201521	790569
დღგ-თი დასაბეგრი შემოსავალი მომსახურება	161 869	59887	10884	7120
დღგ-თი გათავისუფლებული შემოსავალი მომსახურება	-	-	-	24058
საქონლის უკან დაბრუნება	- 111 716	-128710	-150609	-331847
	<u>38 321 488</u>	<u>23101335</u>	<u>22203018</u>	<u>22743335</u>

როგორც ზემოთ აღინიშნა და ამ მონაცემებიდანაც ჩანს, საანგარიშგებო პერიოდში ამონაგები რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ასახულია ქვემოთ ცხრილში:

დასახელება	2019 წელი	2018 წელი	ზრდა %
ამონაგები რეალიზაციიდან	22743335	11175330	103.51%
დასახელება	2020 წელი	2019 წელი	შემცირება %
ამონაგები რეალიზაციიდან	22203018	22743335	2.43%
დასახელება	2021 წელი	2020 წელი	ზრდა %
ამონაგები რეალიზაციიდან	23101335	22203018	4.04%
დასახელება	2022 წელი	2021 წელი	ზრდა %
ამონაგები რეალიზაციიდან	38321488	23101335	65.88%

5.10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ხოლო, ჩამოწერა ხორციელდება „საშუალო შეწონილი“ ღირებულებით. ასევე უნდა აღინიშნოს, დამხმარე მასალები ჩამოიწერება პროდუქციის თვითღირებულებაზე ფაქტობრივი ხარჯვის შესაბამისად.

5.11 კომპანიის დანახარჯების კლასიფიკაცია

- 5.11.1 სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით
- 5.11.1 საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივებისა და ძირითადი საშუალებები სგაუფასურება არ დაფიქსირებულა
- 5.11.1 დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურება საწარმოო პერსონალის, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი აღირიცხება დიფერენცირებულად
- 5.11.1 აუდიტის მომსახურებით საწარმომ ისარგებლა ფინანსური ანგარიშგებისა და მიმდინარე საკითხების აუდიტთან დაკავშირებით:
- 5.11.1 საწარმო ყოველ წლიურად აანალიზებს აქტივების შესაძლო გაუფასურებას, რომელთა საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების კრიტერიუმების გამოყენებით გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოგება/ზარალის შესაბამის ანგარიშებში.

5.12 საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით (ე.წ. „ესტონური მოდელით“). დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს. მსს ფასს შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. საწარმომ ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით

5.13 არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/ზარალი

- ქვემოთ მოცემულია არასაოპერაციო საქმიანობიდან (საკუროს სხვაობები, ფასდათმობები, გადაფასება) რომელიც წარმოიშვა მიმდინარე პერიოდში ფულადი მუხლების გადაფასების (წლის ბოლოს არსებული კურსის შესაბამისად) დროს. შესაბამისად, მსს ფასს-ის 30.10 განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები აკუმულირდა მოგება-ზარალის

საგალუტო კურსის ცვლილების ეფექტი

დასახელება	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
არასაოპერაციო შემოსავალი (საკურსო)	977121.39	628287	309 816	100 191
არასაოპერაციო ზარალი (საკურსო)	- 279 199	-110839	-1 209 977	-404 113
ჯამი	<u>697 922</u>	<u>517 448</u>	<u>-900 161</u>	<u>-303 922</u>

➤ შემოსავალი/ზარჯი არასაოპერაციო საქმიანობიდან მოცემულია ცხრილის სახით;

დასახელება	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
დარიცხული ჯარიმის პატიება	3943	51 798	3 930
ჯამი	<u>3 943</u>	<u>51 798</u>	<u>3 930</u>

5.14 ფინანსური ხარჯი

მსს ფასს-ის თანახმად ფინანსურ მუხლს არ მიეკუთვნება ისეთი ფულადი დანახარჯები, რომლებიც არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან. აღნიშნულის გამო საგადასახადო და ადმინისტრაციული ჯარიმები აისახა წმინდა არასაოპერაციო შემოსავლის მუხლში.

5.15 ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

- 2022 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ განხორციელებულა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის – 0 (ნული) ლარს შეადგენდა.
- საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ 6515917 ლარი შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე.
- აუდირებად პერიოდში კომპანიამ განაწილა 208393 ლარის დივიდენდი.
- აუდირებად პერიოდში კომპანიას ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი არ უფიქსირდება.

5.16 დასკვნითინაწილი

- საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2023 წლის 25 სექტემბერი:
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებულ მოვლენას ადგილი არ ქონია:

დირექტორი

/ბექა ჭაბუკიანი/

მთავარი ბუღალტერი

/მარიამ აფრიაშვილი /

საგალუტო კურსის ცვლილების ეფექტი

დასახელება	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
არასაოპერაციო შემოსავალი (საკურსო)	977121.39	628287	309 816	100 191
არასაოპერაციო ზარალი (საკურსო)	- 279 199	-110839	-1 209 977	-404 113
ჯამი	<u>697 922</u>	<u>517 448</u>	<u>-900 161</u>	<u>-303 922</u>

➤ შემოსავალი/ზარჯი არასაოპერაციო საქმიანობიდან მოცემულია ცხრილის სახით;

დასახელება	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
დარიცხული ჯარიმის პატიება	3943	51 798	3 930
ჯამი	<u>3 943</u>	<u>51 798</u>	<u>3 930</u>

5.14 ფინანსური ხარჯი

მსს ფასს-ის თანახმად ფინანსურ მუხლს არ მიეკუთვნება ისეთი ფულადი დანახარჯები, რომლებიც არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან. აღნიშნულის გამო საგადასახადო და ადმინისტრაციული ჯარიმები აისახა წმინდა არასაოპერაციო შემოსავლის მუხლში.

5.15 ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

- 2022 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ განხორციელებულა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის – 0 (ნული) ლარს შეადგენდა.
- საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ 6515917 ლარი შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე.
- აუდირებად პერიოდში კომპანიამ განაწილა 208393 ლარის დივიდენდი.
- აუდირებად პერიოდში კომპანიას ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი არ უფიქსირდება.

5.16 დასკვნითინაწილი

- საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2023 წლის 25 სექტემბერი:
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებულ მოვლენას ადგილი არ ქონია:

დირექტორი



/ბექა ჭაბუკიანი/

მთავარი ბუღალტერი

/მარიამ აფრიაშვილი /

მართველობითი ანგარიში

ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

შპს „ქართული მილი“ დაფუძნებულია 2014 წლის 29 დეკემბერს, რეგისტრაციის #B18205113

საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელები არიან:

- ✓ რუშიტ ბარიშ, თურქეთი 25493076332, U03564092 – 25%
- ✓ გივი დუმბაძე 61001002733, - 50%
- ✓ მიხეილ პეტროვი 01022000700 – 25%

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დამფუძნებლები და 100% წილის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

- ✓ რუშიტ ბარიშ, 25493076332, U03564092 თურქეთი - 25 %
- ✓ გივი დუმბაძე, 61001002733 - 50%
- ✓ მიხეილ პეტროვი 01022000700 - 25 %

2020 წლის მდგომარეობით შპს „ქართული მილი“ საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელები არიან:

- ✓ რუშიტ ბარიშ, 25493076332, U03564092 /თურქეთი/ -25%
- ✓ გივი დუმბაძე, 61001002733 - 26%
- ✓ შ. პ.ს „ჯეოფაივ ჩემიკალ“ 404525643 - 49%

1. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:

1.1 შპს-ის „ქართული მილი“ ძირითადი საქმიანობაა: ვაჭრობა, საქონლის იმპორტი, წარმოება და რეალიზაცია/დისტრიბუცია, და სხვა საქმიანობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის.

1.2 მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „ქართული მილი“ რეგისტრირებულია პოლიეთილენის მილების წარმოება რეალიზაცია, საწარმოდ.

1.3 ორგანიზაციას ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის გარდა გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- ✓ ლაბორატორია;
- ✓ გაყიდვების განყოფილება;
- ✓ წარმოების დეპარტამენტი;
- ✓ დისტრიბუცია

1.4 ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დეპარტამენტები არიან პასუხისმგებელი ფირმის კომერციული მიზნების და ამოცანების განხორციელებაზე.

1.5 ფაქტობრივად საანგარიშგებო პერიოდში საწარმო ძირითადად ახორციელებდა პოლიეთილენის მილების და მასთან დაკავშირებული ნედლეული და მასალის იპორტსა, წარმოებას და რეალიზაციას.

2. საწარმოს მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

2.1 ორგანიზაციას არ გააჩნია ფილიალი;

2.2 საწარმოს არ გააჩნია წილები დამატებით სხვა საწარმოებში;

3. საწარმოს სტრუქტურა

3.1 საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების ფართო სპექტრის შესაბამისად საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- ✓ რეგიონალური ქვედანაყოფები არ გააჩნია;
- ✓ დისტრიბუციისა და მარკეტინგის სამსახური;
- ✓ საფინანსო, ეკონომიკური, იურიდიული და ადმინისტრაციული განყოფილებები;
- ✓ მონიტორინგის სამსახური;

4. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

4.1 მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისები, სხვადასხვა გარეშე და შიდა ფაქტორების შედეგად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა გავლენას ახდენს იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე და მოწოდების პირობებზე, რაც უშუალოდ აისახება საწარმოს საქმიანობაზეც. ამასთან, საქართველოს შიდა ბაზარი არასტაბილურია და რეალურად არ გააჩნია მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა.

4.2 საწარმოს საქმიანობის არეალი მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. ამასთან, საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროში მძაფრია კონკურენცია, რასაც საწარმო უმკლავდება მარკეტინგული აქტივობისა და ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის ფართო ასორტიმენტის საქონლის მიწოდების ხარჯზე.

4.3 ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგად მაღალია მარკეტინგული რისკები, რომელთა თავიდან აცილების მიზნით საწარმო მარკეტინგის, ეკონომიკური და ანალიზის სამსახურები სისტემატურად აანალიზებენ ქვეყნის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, მუშავდება

რეკომენდაციები საწარმოს საქმიანობის ცალკეული სფეროს ნაწილობრივ შეზღუდვის ან გაფართოების, საქმიანობის შეჩერების ან ახალი მიმართულებების დანერგვის შესახებ.

- 4.4 საწარმოს მიაჩნია, რომ ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვროს ბაზარზე თავისი ადგილი „ნიშა“, რომელიც ნაკლებად ან არასაკმარისადაა გამოყენებული კონკურენტების მიერ.
- 4.5 საწარმომ საქართველოს ბაზარზე გააფართოვა ექსკლუზიური მიწოდება. ასევე ხორციელდება სხვა ღონისძიებები ეკონომიკური რისკების თავიდან აცილების მიზნით.
- 4.6 მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, საწარმო გეგმავს მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობის ღრმად შესწავლას, მოთხოვნადი და თანამედროვე პროდუქციის მოძიების მიზნით და მათი საქართველოს ბაზარზე შემოტანის შესაძლებლობის მოკვლევას;
- 4.7 მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების მწარმოებელი ორგანიზაციების პარტნიორების რაოდენობის ზრდა. რაც ყოველ წლიურ მიზნებში ისახება და ხარცოიელდება ეტაპობრივად.
- 4.8 საპროგნოზო ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა სამუშაო ჯგუფის მიერ წარედგინება დირექტორს და მხოლოდ ამის შემდეგ მტკიცდება დამფუძნებელთა კრებაზე.
- 4.9 სამუშაო ჯგუფში შედიან ფინანსისტები და კომერციული მიმართულებების წარმომადგენლები.

5. პროდუქციის ხარისხი:

- 5.1 კომპანია მუშაობს მხოლოდ სტაბილურ და ხარისხიან პროდუქცუაზე.
- 5.2 კომპანიას მართავს დირექტორი სადაც წყდება მნიშვნელოვანი და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება.
- 5.3 დირექტორი ანგარიშ ვალდებულია დამფუძნებელთა კრების მიმართ.
- 5.4 კომპანიაში შემუშავებულია ფინანსური ინსტრუმენტები და მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ფინანსური რისკების შემცირებას.
- 5.5 შუა რგოლის მენეჯერები პასუხისმგებლები არიან შესაბამისი მიმართულებების გაყიდვების დასახული გეგმის შესრულებაზე, განვითარების მომავალი წლების სტრატეგიის შემუშავებაზე და დირექტორთა საბჭოზე საკითხის გატანაზე. ასევე პასუხისმგებლები არიან ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობის კონტროლზე.

6. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან

- 6.1 საწარმოს კომერციული პარტნიორები და საქონლის ძირითადი მომწოდებლები არიან არარეზიდენტი კომპანიები;
- 6.2 საწარმოს შესყიდული არ აქვს სასაქონლო ნიშნები;
- 6.3 საწარმოს შესყიდული არ აქვს ლიცენზია;
- 6.4 საწარმოს საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს საკონსულტაციო და იურიდიულ მომსახურებაზე.

7. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

- 7.1 ექსპედიტორები უზრუნველყოფილნი არიან სეზონის შესაბამისი სპეცტანსაცმლით;
- 7.2 შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.
- 7.3 საზოგადოება სრულად ადაპტირებულია შრომის უსაფრთხოების კანონით მოთხოვნილ ნორმებთან, მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი მონიტორინგი

8. მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

- 8.1 კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოში დასაქმებულთა საშუალო წელში რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდში 53 შეადგენდა.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 25 სექტემბერი:

დირექტორი

/ზექა ჭაბუკიანი/

მთავარი ბუღალტერი

/ნანი კვარაცხელია /

6. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან

- 6.1 საწარმოს კომერციული პარტნიორები და საქონლის ძირითადი მომწოდებლები არიან არარეზიდენტი კომპანიები;
- 6.2 საწარმოს შესყიდული არ აქვს სასაქონლო ნიშნები;
- 6.3 საწარმოს შესყიდული არ აქვს ლიცენზია;
- 6.4 საწარმოს საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს საკონსულტაციო და იურიდიულ მომსახურებაზე.

7. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

- 7.1 ექსპედიტორები უზრუნველყოფილნი არიან სეზონის შესაბამისი სპეცტანსაცმლით;
- 7.2 შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.
- 7.3 საზოგადოება სრულად ადაპტირებულია შრომის უსაფრთხოების კანონით მოთხოვნილ ნორმებთან, მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი მონიტორინგი

8. მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

- 8.1 კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოში დასაქმებულთა საშუალო წელში რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდში 53 შეადგენდა.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2023 წლის 25 სექტემბერი:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/ბექა ჭაბუკიანი/

/მარიამ აფრიაშვილი /